# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1934 2019 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

**„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 მაისის №936 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 მაისის №936 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის:

**ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობის

მოწყობა და ფუნქციონირების დაწყება არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, მას შემდგომ, რაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული იქნება დადებითი პოზიცია №81.07.04.529 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის თაობაზე;";

**ბ) „გ.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ.ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, მას შემდგომ, რაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული იქნება დადებითი პასუხი №81.07.04.529 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის თაობაზე;";

**გ) „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნება და ამ განკარგულების გამოცემამდე შეთავაზებული პროდუქციის წლიური მოცულობის, კერძოდ, არანაკლებ 200 (ორასი) ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება-გატარება შემდეგი პირობებით:

დ.ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 25%-ის მიღება-გატარება;

დ.ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში – წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის 50%-ის მიღება-გატარება.“.

2. იმ შემთხვევაში, თუ 2020 წლის 31 მაისამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ ექნება დადებითი პოზიცია №81.07.04.529 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საავტომობილო გზის მოწყობის თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიას“ (ს/ნ: 416330116) შორის 2017 წლის 14 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდეს, მყიდველს სრული ოდენობით დაუბრუნდეს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარდგენილი საბანკო გარანტია და არ აუნაზღაურდეს გაწეული დანახარჯები.

3. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 მაისის №936 განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, ამავე ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულებისათვის დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიამ“ წარადგინოს 2022 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი 14 100 (თოთხმეტი ათას ასი) ლარის ოდენობის ახალი/შეცვლილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**